გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

მარშალ გელოვანის გამზ.N34
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 237 80 13
+995 32 237 80 44
info@mepa.gov.ge

04 აპრილი 2024

N 2642/01

თბილისის საქალაქო სასამართლოს

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის

მოსამართლეს ირინა გოგოლაძეს

ქალბატონო ირინა,

თქვენს წარმოებაში არსებულ №3/1223-24 საქმეზე გურამ გაფრინდაშვილის სარჩელთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ საქმეში მოპასუხედ ჩართული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაგებელს.

დანართი: შესაგებელი 2 ეგზემპლარად.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის პირველი მოადგილე

05 04 24
49031404
2024 01 ეგ
19 04 01 ეგ
01 ეგ

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

სასამართლოს

შესაგებელი
ადმინისტრაციულ საქმეზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას

მხოლოდ სასამართლო მოხმარებისთვის

შტამპის ადგილი

საქმე №3/1223-24	გურამ გაფრინდაშვილი მოსარჩელის სახელი, გვარი (სახელწოდება)	ირინა გოგოლაძე მოსამართლის სახელი და გვარი

მოპასუხე: *შენიშვნა-1*

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო		ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34
სახელი, გვარი (სახელწოდება)	პირადი (საიდენ.) ნომერი	ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი)

ალტერნატიული მისამართი *შენიშვნა-2* | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

მოპასუხის წარმომადგენელი: *შენიშვნა-3*

ნინო თანდილაშვილი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე		ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N34
სახელი, გვარი, ადვოკატის სიითი ნომერი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი | სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

საკონტაქტო პირი: *შენიშვნა-4*

ციური სულხანიშვილი ნატო მაჭარაშვილი ნინო მუსელიანი		599218404; 577080819 595119724.	
სახელი, გვარი	სახლის ტელ.	მობილური	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-5

ვალდებული ხართ თქვენი შესაგებელი სარჩელსა და მასში დასმულ საკითხებზე, აგრეთვე, თქვენი მოსაზრებები სარჩელისათვის თანდართული საბუთების შესახებ სასამართლოს წარუდგინოთ სარჩელისა და თანდართული საბუთების ასლების მიღებიდან სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რომლის გაგრძელება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს საპატიო მიზეზი.

ფორმასთან დაკავშირებით კითხვის, შენიშვნის ან რეკომენდაციის არსებობის შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ნომერზე (995 32) 227-31-00 ან მოგვწეროთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, მისამართზე: forms@hcoj.gov.ge

სანიმუშო ფორმა შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე: www.hcoj.gov.ge

სასამართლოში დასაბარებელ პირთა სია

სახით:

დასაბარებელი პირის სტატუსი *შენიშვნა-6*

სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ძირითადი მისამართი

ალტერნატიული მისამართი	სამუშაო ადგილი და სამუშაო ადგილის მისამართი

სახლის ტელ.	სამსახურის ტელ.	მობილური	ფაქსი	ელექტრონული ფოსტა

შენიშვნა-7

ცნობთ თუ არა სარჩელს?

დიახ ☐

არა ☒

ნაწილობრივ ☐

შენიშვნა-8

მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მიერ მითითებულ დავის ფაქტობრივ გარემოებებზე

შენიშვნა-9 შენიშვნა-10 შენიშვნა-11 შენიშვნა-12

პირველ ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-2 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-3 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-4 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-5 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მე-6 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-7 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-8 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-9 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-10 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-11 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-12 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-13 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-14 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული
მე-15 ფაქტობრივ გარემოებას - არ ვარ ინფორმირებული

დავის დამატებითი ფაქტობრივი გარემოებები

შენიშვნა-13 შენიშვნა-14 შენიშვნა-15

1. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

2. ფაქტობრივი გარემოება

მტკიცებულება:
ა. (დანართი)

მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქმის წარმოება უნდა შეწყდეს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☐	

შენიშვნა-16

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ სარჩელი განუხილველად უნდა დატოვოს?		
დიახ	☐	რის საფუძველზე?
არა	☒	

შენიშვნა-17

მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასამართლომ უნდა შეაჩეროს საქმის წარმოება?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☒	

შენიშვნა-18

ხომ არ აპირებთ, შეგებებული სარჩელის აღძვრას?		
დიახ	☐	რომელი საფუძვლით?
არა	☐	

შენიშვნა-19

მოპასუხის პოზიცია სასარჩელო მოთხოვნასა და მის სამართლებრივ საფუძვლებზე

შენიშვნა-20 შენიშვნა-21 შენიშვნა-22

პირველ სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოსარჩელე ითხოვს ნაწილობრივ ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის N1378 ბრძანება შპს „ჯორჯიან მანგანეზზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს (შესაძლებელს ხდის) ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხალიფაურის დასახლებულ ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (მანგანუმის) ღია კარიერული წესით მოპოვებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ 2017 წლის 7 დეკემბრის „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონიში ცვლილების შეტანის თაობაზე"- საქართველოს კანონის საფუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო გაერთიანდა ერთ სამინისტროდ - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდ.

ამ კანონის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად- „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (ბუნებრივი რესურსების – სასარგებლო წიაღისეულის მართვის მიმართულებით) გადაეცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ (ბუნებრივი რესურსების – სასარგებლო წიაღისეულის მართვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში."

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილს შესაბამისად- „საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა სასარგებლო წიაღისეულისა) მართვის მიმართულებით)

გადაეცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამონაცვლედ და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა სასარგებლო წიაღისეულისა) მართვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში."

ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-7 ნაწილით განისაზღვრა, რომ „საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მათ სისტემაში არსებული სხვა შესაბამისი უწყებების, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამონაცვლე უწყებების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანის ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება ენიჭებათ შესაბამის უფლებამონაცვლე უწყებებს".

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ სამინისტრო სარჩელთან მიმართებაში არ წარმოადგენს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს და შესაბამისად არის არასათანადო მოპასუხე.

რაც შეეხება საკითხს არის თუ არა მოსარჩელე სათანადო მოსარჩელე, ანუ ვის შეუძლია აღძრას სარჩელი, განმარტებულია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის პირველი-მესამე ნაწილებით:

1. სარჩელი შეიძლება აღიძრას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების მოთხოვნით.

2. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას.

3. თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

მოსარჩელემ უნდა დაასაბუთოს რაში გამოიხატება პირდაპირი და უშუალო (ინდივიდუალური) ზიანი. მოცემულ შემთხვევაში იგი ზოგადად უთითებს სავარაუდო ზიანზე, რაც ვფიქრობთ არ წარმოადგენს სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთების საკმარის საფუძველს.

ზოგადად გვინდა განვმარტოთ ხანდაზმულობის საკითხი სარჩელთან მიმართებაში.

სადაო ადმინისტრაციული აქტი გამოცემულია 2006 წლის 19 დეკემბერს, შესაბამისად, იმავე დროიდან, ანუ 2006 წლიდან ღიად მიმდინარეობს სადაო ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხოლო, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით ხანდაზმულობის საერთო ვადა შეადგენს ათ წელს.

ამავე კოდექსის 130- ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად: ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად მიიჩნევა დრო, როცა პირმა შეიტყო ან პირს უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2014 წლის 25 დეკემბრის Nბს 339-335(2k-14) საქმეზე განმარტა, რომ „ხანდაზმულობა არის დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის ვადა და იგი უშუალოდ უკავშირდება სარჩელის უფლებას. სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის გასვლა გავლენას ახდენს მოთხოვნის ანუ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლიანობაზე. ხანდაზმულობის საერთო ვადა განისაზღვრება 10 წლით. ხანდაზმულობის ათწლიანი ვადა ასრულებს სადაო სამართლებრივ ურთიერთობას და გამორიცხავს სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოთხოვნის დაკმაყოფილება გამოიწვევს სხვათა უფლების შელახვას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სკ-130-ემუხლის შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ."

მიგვაჩნია, რომ მოსარჩელეს გაშვებული აქვს კანონით დადგენილი ხანდაზმულობის როგორც ერთ თვიანი ასევე საერთო ათ წლიანი ვადა, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

რაც შეეხება სადაო 2006 წლის 19 დეკემბრის N1378 ბრძანებასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, სამინისტროს საქმისწარმოების სამმართველოს ინფორმაციით, დოკუმენტების საუწყებო შენახვის ვადის გასვლის გამო, სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული 2006-2007 წლების დოკუმენტაცია გადაეცა სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს სახელმწიფო დაცვაზე (საფუძველი: „დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შენახვის ზღვრული ვადების შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბერის N262 ბრძანება) 2023 წლის აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

მე-2 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

მე-3 სასარჩელო მოთხოვნას - არ ვეთანხმები

შესაგებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებზე, მათ შორის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმები და მსგავს სამართლებრივ საკითხზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტები:

მტკიცებითი შუამდგომლობები

შენიშვნა-23

მოწმე	ფაქტობრივი გარემოება(ები)
ექსპერტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)
სპეციალისტი	ფაქტობრივი გარემოება(ები)

შენიშვნა-24

შუამდგომლობები მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის მოთხოვნით.

1.

შენიშვნა-25

შუამდგომლობები, საპატიო მიზეზის გამო, მტკიცებულებათა წარმოდგენის გადავადების თაობაზე.

1.

შენიშვნა-26

შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე.

1.

შენიშვნა-27

სხვა სახის შუამდგომლობები

შენიშვნა-28

1. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

2. მოთხოვნა

არგუმენტაცია:

გაქვთ თუ არა აცილება მოსამართლის მიმართ?

დიახ ☐ რის საფუძველზე?

არა ☒

შენიშვნა-29

დაგჭირდებათ თუ არა თქვენ ან/და დასაბარებელ პირს თარჯიმანი საქმის ზეპირი მოსმენისას?

დიახ ☐ ვის? რომელი ენის მცოდნე?

არა ☒

თქვენს ინტერესში შედის საქმის მორიგებით დამთავრება. მორიგება წარმოადგენს დავის გადაწყვეტის ყველაზე სწრაფ, ეფექტურ და იაფ საშუალებას. ამასთან, გეძლევათ შესაძლებლობა, თავად განსაზღვროთ დავის შედეგი, ასევე, აღმოფხვრათ კონფლიქტი ერთმანეთს შორის.
სასამართლო სხდომამდე მხარეთა მორიგების შემთხვევაში მხარეები მთლიანად თავისუფლდებიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ხოლო სასამართლო სხდომაზე მორიგების შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის ოდენობა ნახევრდება.
მოურიგებლობის ნეგატიური შედეგებია:
» რთულადგანჭვრეტადი შედეგი;
» ხანგრძლივი სასამართლო პროცესი;
» სასამართლო ხარჯები;
» სასამართლოსგარეშე ხარჯები;
» ყოველდღიური ხარჯები.

თანახმა ხართ თუ არა, რომ საქმე დაამთავროთ მორიგებით?

დიახ	☐	მორიგების პირობები:
არა	☒	რადგან

შენიშვნა-30

თანდართული საბუთების ნუსხა

შენიშვნა-31 *შენიშვნა-32*

დანართი 1. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 01.05.2023 წლის ბრძანება ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ.

ფურცლების საერთო რაოდენობა: ; 19

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-33

რა დრო დაგჭირდებათ მთავარ სხდომაზე თქვენი პოზიციის დასაბუთებისათვის?

15 წუთი რადგან

რამდენ სხდომაში მიგაჩნიათ გონივრულად დავის განხილვის დასრულება?

I სხდომაში რადგან

შენიშვნა-34

თანახმა ხართ თუ არა, რომ სასამართლომ საქმე განიხილოს დაჩქარებული წესით?

დიახ	☐	
არა	☐	რადგან

შენიშვნა-35

თქვენ მიერ მითითებულ რომელ მისამართზე ისურვებდით სასამართლო შეტყობინების მიღებას?

ძირითად მისამართზე	დროის ოპტიმალური შუალედი:	10:00 - 14:00

თანახმა ხართ თუ არა, რომ წერილობითი მასალები მიიღოთ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით?

დიახ	☐	
არა	☒	რადგან

შენიშვნა-36

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!
სასამართლოში საქმის განხილვა მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ ანუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პროფესიონალიზმი და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ჩემი (ჩემი მარწმუნებლის) ცოდნის, ინფორმირებულობისა და რწმენის საუკეთესო გამოვლინებით, ამ ფორმაში ფაქტები მივუთითე სრული სახით და ისინი შეესაბამება სინამდვილეს. ვაცნობიერებ, თუ რა შედეგთან არის დაკავშირებული მონაცემების არასწორი ან/და არასრული მითითება.

	ნინო თანდილაშვილი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე	27/03/2024 წ.
ხელმოწერა	ხელმომწერის სახელი, გვარი	შევსების თარიღი

შევსებული ფორმა შეგიძლიათ ჩააბაროთ სასამართლოს კანცელარიის (მისაღების) მოხელეს ან გამოაგზავნოთ ფოსტის მეშვეობით. სასამართლოს კანცელარია (მისაღები) მუშაობს 09:30-დან 18:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საქართველოს კანონი

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 13.02.2004, მუხ. 7) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-14 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს სამინისტროებია:

ა) განათლებისა და მეცნიერების;

ბ) გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის;

გ) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების;

დ) თავდაცვის;

ე) იუსტიციის;

ვ) კულტურისა და სპორტის;

ზ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა;

თ) რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის;

ი) საგარეო საქმეთა;

კ) სასჯელაღსრულებისა და პრობაციის;

ლ) ფინანსთა;

მ) შინაგან საქმეთა;

ნ) შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის.“.

2. 26^1 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. სპეციალური დაწესებულების დებულებასა და შესაბამისი კანონით განსაზღვრულ სხვა ნორმატიულ აქტებს პრემიერ-მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა, გარდა „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.“.

3. X^1 თავი ამოღებულ იქნეს.

მუხლი 2

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი გადაეცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს უფლებამონაცვლედ.

2. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (ბუნებრივი რესურსების – სასარგებლო წიაღისეულის მართვის მიმართულებით) გადაეცეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ (ბუნებრივი რესურსების – სასარგებლო წიაღისეულის მართვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

3. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა სასარგებლო წიაღისეულისა) მართვის მიმართულებით) გადაეცეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამონაცვლედ და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს უფლებამონაცვლედ (გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების (გარდა სასარგებლო წიაღისეულისა) მართვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

4. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (ახალგაზრდობის საქმეთა მართვის მიმართულებით, მათ შორის, ცენტრალური აპარატის შესაბამისი ნაწილისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა) გადაეცეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ (ახალგაზრდობის საქმეთა მართვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

5. საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებანი (სპორტის მართვის მიმართულებით, ასევე მთლიანი ცენტრალური აპარატისა და სამინისტროს სისტემაში შემავალი შესაბამისი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა, გარდა ახალგაზრდობის საქმეთა მართვის მიმართულებისა) გადაეცეს საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო ჩაითვალოს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს უფლებამონაცვლედ (სპორტის მართვის მიმართულებით) საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

6. საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ჩაითვალოს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის უფლებამონაცვლედ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში.

7. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს და მათ სისტემაში არსებული სხვა შესაბამისი უწყებების, აგრეთვე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სათათბირო ორგანოს – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამონაცვლე უწყებების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, აღნიშნულ სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანის ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება ენიჭებათ შესაბამის უფლებამონაცვლე უწყებებს.

8. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული უწყებების (მხარჯავი დაწესებულებების) და მათ სისტემაში მოქმედი საბიუჯეტო ორგანიზაციების განკარგვაში არსებული „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული

კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება მიენიჭოთ ამ კანონის ამოქმედების შედეგად შექმნილ უწყებებს (მხარჯავ დაწესებულებებს) და მათ სისტემაში შექმნილ საბიუჯეტო ორგანიზაციებს. ამ კანონის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა საქართველოს მთავრობამ საქართველოს ფინანსთა მინისტრის წარდგინებით უზრუნველყოს „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი პროგრამული კოდებით გათვალისწინებული ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილების მქონე საბიუჯეტო ორგანიზაციების განსაზღვრა.

9. ამ კანონის მოთხოვნების გათვალისწინებით, ამ მუხლის პირველ–მე-6 პუნქტებში აღნიშნული უფლებამონაცვლე საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ 2017 წელს განსაზღვრული საშტატო რიცხოვნობა შესაძლოა აჭარბებდეს „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლით დადგენილ მომუშავეთა რიცხოვნობას იმ პირობით, რომ არ გაიზრდება ჯამურად ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული სტრუქტურის ფარგლებში საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის განსაზღვრული რიცხოვნობა.

10. ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული შესაბამისი სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოდ განისაზღვროს ამ მუხლის პირველ–მე-5 პუნქტებში აღნიშნული შესაბამისი უფლებამონაცვლე სამინისტრო.

11. ამ მუხლის პირველ–მე-6 პუნქტებში აღნიშნულმა უფლებამონაცვლე სამინისტროებმა და მათ სისტემაში შემავალმა დაწესებულებებმა უზრუნველყონ ამ კანონის ამოქმედებამდე არსებულ შესაბამის სამინისტროებში და მათ სისტემაში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოსამსახურეებისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირების შტატით დასაქმებულ თანამშრომელთა და შტატგარეშე მომუშავეთა უკონკურსოდ გადაყვანა შესაბამის თანამდებობებზე.

12. ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – საჯარო სამსახურის ბიურომ და ამ მუხლის პირველ–მე-6 პუნქტებში აღნიშნულმა უფლებამონაცვლე უწყებებმა უზრუნველყონ ამ უწყებების სისტემაში (სტრუქტურაში) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ფუნქციათა ანალიზის საფუძველზე ოპტიმიზაცია, შესაბამისად, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის გზით.

13. ამ კანონის ამოქმედებიდან 6 თვის ვადაში საქართველოს მთავრობამ და შესაბამისმა უწყებებმა სათანადო უწყებების წარდგინებით უზრუნველყონ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მიიღონ/გამოსცენ ერთობლივი ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

7 დეკემბერი 2017 წ.

N1620-რს

N 1527/11
26.03.2024

იურიდიული დეპარტამენტის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
ბატონ **გივი მერაბიშვილის**
ადმინისტრაციული დეპარტამენტის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
თეიმურაზ კვირკველიას

სამსახურებრივი ბარათი

ბატონო გივი,

თქვენი მ. წ. 25 მარტის N 1477/11 სამსახურებრივი ბარათის პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენ თხოვნას საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 19 დეკემბრის N1378 ბრძანების ასლის მოწოდების თაობაზე ვერ ვაკმაყოფილებთ, რადგან დოკუმენტების საუწყებო შენახვის ვადის გასვლის გამო, სამინისტროს ცენტრალურ არქივში დაცული 2006-2007 წლების დოკუმენტაცია გადაეცა სსიპ საქართველოს ეროვნულ არქივს სახელმწიფო დაცვაზე (საფუძველი: „დაწესებულებებში ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დროებით შენახვის ზღვრული ვადების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბერის N262 ბრძანება).

დანართი: 2023 წლის აგვისტოს მიღება-ჩაბარების აქტი - 2 გვერდი.

პატივისცემით,

თეიმურაზ კვირკველია

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ადმინისტრაციული დეპარტამენტი

თარიღი

ვამტკიცებ

(ხელმძღვანელის თანამდებობა)

(ხელმოწერა, ხელმოწერის გაშიფვრა)

თარიღი

ვამტკიცებ
საქართველოს უახლესი ისტორიის
ცენტრალური არქივის დირექტორი
ია თუთაშვილი
2023 წ.

ა ქ ტ ი

დოკუმენტების სახელმწიფო
შენახვისათვის მიღება-
გადაცემის შესახებ.

საფუძველი : საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ", № 4205 - რს - 2006 წლის 29 დეკემბერი

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ფ: 930 ან: 1

(დაწესებულება/ფონდის/სახელწოდება)

(დოკუმენტების საუწყებო შენახვის ვადის გასვლასთან, დაწესებულების ლიკვიდაციასთან და ა. შ. დაკავშირები)

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
მომართვა: N491/01 27.01.2023

(ორგანიზაციის დასახელება)

აბარებს, ხოლო უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი **იბარებს** სახელმწიფო შენახვისათვის 2006 – 2007 წწ. დოკუმენტებს

რიგ. №№	აღწერის სახელწოდება	აღწერების ეგზემპლარ. რაოდენობა	საქმეების (შეს. ერთ) რაოდენობა	სადაზღვევო პირების რაოდენობა	შენიშვნა
1	2	3	4	5	6
1	ან. N 1 საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერი წიგნი 2 (2006-2007) წწ.	1	1384		

სულ მიღებულია : 1384 (ათას სამასოთხმოცდაოთხი) შეს. ერთეული
(ციფრებით და სიტყვებით)

სახელმწიფო არქივში ფონდი № 930 ან: 1

ჩააბარა : საქ. კომუნის [illegible] და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქმისწარმოების სამმართველოს, II კატეგორიის უფროსი სპეციალისტი [illegible]

(თანამდებობა, ხელმოწ. ხელმოწ. გაშიფვრა)

07-09-2023

მიიღო :
უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის განყოფილების უფროსი ქეთევან მთვრალაშვილი

უფროსი სპეციალისტი თ. შავგულიძე

(თანამდებობა, ხელმოწ. ხელმოწ. გაშიფვრა)

03.08 2023

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-228

01/05/2023

ქ. თბილისი

ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 მარტის N112 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველ მოადგილეს ნინო თანდილაშვილს მიენიჭოს უფლებამოსილება:

ა) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების განსახორციელებლად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინტერესების წარდგენისა და დაცვის მიზნით, შეასრულოს ყველა საპროცესო მოქმედება ნებისმიერ სასამართლო ინსტანციაში, მათ შორის: ხელი მოაწეროს განცხადებებსა და მინდობილობებზე, აღძრას სარჩელი, ცნოს სარჩელი, მთლიანად ან ნაწილობრივ უარი თქვას სასარჩელო მოთხოვნაზე, შეცვალოს სარჩელის საგანი, მოურიგდეს მხარეს, გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება და წარადგინოს სააღსრულებო ფურცელი გადასახდევინებლად;

ბ) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებით აღჭურვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეები.

2. ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილის ნინო თანდილაშვილის არყოფნის შემთხვევაში, მიენიჭოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს თენგიზ ნასარიძეს.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ნინო თანდილაშვილისათვის სასამართლო ორგანოებში წარმომადგენლობის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 18 ივნისის N2-557 ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ოთარ შამუგია

მინისტრი